დასკვნა

განკარგულების პროექტის შესახებ

განკარგულების პროექტი „ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 290.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ნ. დუმბაძის სახელობის პარკი, (ს.კ.28.01.21.718) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სტატუსის დაკარგვისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრიტაზაციო ობიექტების 2023 წლის დამატებითი ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 აგვისტოს N40 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ შესაბამისობაშია ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლთან, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნული განკარგულება შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი: ბექა შენგელია